სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თორმეტი წლის ცხრა იანვარს, მე, საქართველოს ნოტარიუსს **ნარგიზ მინდიაშვილს** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №29 მომმართა: **ს.ს. "ჯი პი სი"–ს დირექტორმა დავით კილაძემ** *(ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 419225; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 11189426; ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/12/2011წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 201991229)* და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად: **ს.ს. "ჯი პი სი"–ს დირექტორმა დავით კილაძემ** (დაბ. 07.12.1967წ. თბილისში, პ/მ №№ 1094803, პ. №01017011314, გაც. 05.09.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიე,რ მცხ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №12) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **ს.ს. "ჯი პი სი"–ს დირექტორმა დავით კილაძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

„მინდობილობის გამცემი" – **ს.ს. "ჯი პი სი"–ს დირექტორი დავით კილაძე** (დაბ. 07.12.1967წ. თბილისში, პ/მ №№ 1094803, პ. №01017011314, გაც. 05.09.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიე,რ მცხ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №12), **"მინდობილობის მიმღებ"-ს – გია ხორგუაშვილს** (დაბ. 22.09.1966წ. ქარელში, მოქალაქის პირადობის მოწმობა - ბარათის №11IA30140, პ. №01021017518, გაც. 21.09.2011წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მოქმედების ვადა 21.09.2021წ. მცხ. თბილისი, თ.დ. III მ/რ, I კვ. კორპ. №19, ბინა №36) **ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას: იყოს ს.ს. "ჯი პი სი"–ს** წარმომადგენელი საჯარო და კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოში, ყველა საჭირო ინსტანციაში, მათ შორის: *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში სანოტარო ბიუროში,* მერიაში, გამგეობაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, სამოქალაქო რეესტრში, არქივში და ა.შ. გააფორმოს ან/და გააუქმოს იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებები, შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება/დამატება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში. *ქირავნობისა და იჯარის* ფასი განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, **„მინდობილობის გამცემი"-ს** სახელით დადოს და ხელი მოაწეროს ზ/აღნიშნულთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზ/აღნიშნული დავალების შესრულებასთან. ყველა ზ/აღნიშნულის შემთხვევაში განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები. თავისი შეხედულებისამებრ აწარმოოს ყველა გარიგების გაანგარიშება. აგრეთვე **„მინდობილობის გამცემი"-ს** სახელით დაარეგისტრიროს უძრავი ქონების ქირავნობისა და/ან იჯარის შესახებ ხელშეკრულებები *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში* ამასთან ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზ/აღნიშნულთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2013 წლის 09 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **ნარგიზ მინდიაშვილის** სანოტარო არქივში, ხოლო ოთხი გადაეცა **„მინდობილობის გამცემს"**.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, **თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა**, აგრეთვე დღგ 1,80 /ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი/, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) **ელექტრონულ სანოტარო რეესტრში** სანოტარო **მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა**. სულ (13,80) ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

ნოტარიუსი ნ. მინდიაშვილი